



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 113

12/01/2018

ქალაქი ბათუმი

113-05-4-201801121528



ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „კამაზი“ სახელმწიფო ნომერი MK512KM-ის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ზ. ხალვაშის 2017 წლის 25 დეკემბრის №3702-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურს“ თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „კამაზი“ სახელმწიფო ნომერი MK512KM, ღირებულებით 118900 ლარი.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილებას (გ. ბერიძეს) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-თან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალი“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „კამაზი“ სახელმწიფო ნომერი MK512KM-ის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 21 იანვრის №44 ბრძანება და შეწყდეს აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალი“-თან 2016 წლის 22 იანვარს გაფორმებული თხოვების ხელშეკრულება.

4. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.


5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature is stylized and appears to be the name 'ჯუმბერ ვარდმანიძე'.